საუკეთესო რიგები მამაკაცთათვის — პირველი მწკრივებია, ხოლო ყველაზე უარესი — უკანა. საუკეთესო რიგები ქალთათვის — უკანა მწკრივია, ხოლო ყველაზე უარესი — წინა

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «საუკეთესო რიგები მამაკაცთათვის — პირველი მწკრივებია, ხოლო ყველაზე უარესი — უკანა. საუკეთესო რიგები ქალთათვის — უკანა მწკრივია, ხოლო ყველაზე უარესი — წინა».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ მამაკაცთა საუკეთესო რიგები ლოცვაში და მათთვის ყველაზე მეტი ჯილდო და მადლი არის პირველ მწკრივში. ეს იმიტომ, რომ ისინი იმამთან ახლოს არიან, ისმენენ მის კითხვას და შორს არიან ქალებისგან, და ყველაზე უარესი, ყველაზე ნაკლები ჯილდოთი და მადლით და შარიათის მოთხოვნებიდან ყველაზე შორს — არის უკანა რიგები, ქალებისთვის საუკეთესო რიგებია ბოლო რიგები, რადგან იქ ისინი უკეთ არიან დაფარულნი და შორს მამაკაცებთან კონტაქტისგან, მათი ყურებისა და მათგან გამომდინარე ცდუნებისგან. ხოლო მათთვის ყველაზე ცუდი რიგებია პირველი რიგები, მათი სიახლოვის გამო მამაკაცებთან და ცდუნების არსებობის გამო.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/11299